ტვინების ბრძოლა
რეგიონული პირველობა | შემოდგომა 2023
U8 (VI, VII, VIII კლასები)

1. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთ **ავსტრალიელ** მოგზაურს მეგობარმა აჩუქა **ეს ნივთი,** რითაც უსურვა, რომ მშვიდობიანად **დაბრუნებულიყო** სამშობლოში. **ცხრაასოიანი სიტყვის** გამოყენებით დაასახელეთ ეს **ნივთი**, თუ გეტყვით, რომ ის **აუცილებლად დაბრუნდება**.

პასუხი: ბუმერანგი
კომენტარი: ეს ტრადიციული ავსტრალიური ნივთი გასროლის შემდეგ უკან დაბრუნებასთან ასოცირდება, ამიტომ ავსტრალიელ მოგზაურს ამ ნივთის ჩუქებით უსურვეს, შინ მშვიდობით დაბრუნებულიყო. ამ შეკითხვით ჩვენც "გავისროლეთ" ბუმერანგი, რომელიც აუცილებლად დაბრუნდება.

2. 6-ქულიანი შეკითხვა
ბევრი ტრადიცია და კულტურული ელემენტი **ჩინეთიდან** ვრცელდებოდა **კორეაში**, იქიდან კი - ოდნავ **შეცვლილი** სახით **იაპონიაში**. ამ ფაქტზე საუბრისას ისტორიკოსმა ახსენა **ტელეფონი**. **ტელეფონი** კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება **დამახინჯდეს** თავდაპირველი **ინფორმაცია მასშტაბურად გავრცელებისას**. შეკითხვის ტექსტში ჩვენ **ორჯერ** გამოვტოვეთ **ერთი** და **იგივე სიტყვა**. დაწერეთ გამოტოვებული სიტყვა.

პასუხი: გაფუჭებული
კომენტარი: ისტორიკოსს აღმოსავლეთ აზიის კულტურის განვითარების ეტაპებმა ე.წ გაფუჭებული ტელეფონის პრინციპი მოაგონა. ამ თამაშში ხშირად პირველი მოთამაშის ნათქვამი ინფორმაცია ბოლო მოთამაშესთან ძალიან შეცვლილი სახით მიდის.

3. 7-ქულიანი შეკითხვა
ესკიმოსები **გაჭიმული ტყავისგან** ამზადებდნენ **იქსის ნაირსახეობას**, რომელიც იმისთვის იყო განკუთვნილი, რომ ნადირობისას **მაღლა ამხტარიყვნენ**. ზოგჯერ **კოსმოსიდან დაბრუნებული** ასტრონავტები **იქსით ვარჯიშობენ**, რათა **გრავიტაციას ხელახლა მიეჩვიონ**. დაასახელეთ იქსი **სამმარცვლიანი** სიტყვით.

პასუხი: ბატუტი
ჩათვლა: ტრამპლინი
კომენტარი: გაჭიმული ტყავისგან ესკიმოსები ამზადებდნენ ბატუტს, რომლითაც 3-4 მეტრამდე ხტებოდნენ და ვეშაპებს უკეთ აკვირდებოდნენ. ასტრონავტებს დიდხანს უწევთ უწონადობის პირობებში ყოფნა, ამიტომ დაბრუნების შემდეგ ზოგიერთი მათგანი მიზიდულობის ძალასთან შესაჩვევად ბატუტზე ხტომას მიმართავს.

4. 5-ქულიანი შეკითხვა
ზღაპარი “ასეთი კოჭლი იქსი” დაიწერა 1875 წელს. ზღაპრის პერსონაჟი ახალგაზრდა დიდგვაროვანია, რომელმაც ფეხი დაიზიანა ძიძების უყურადღებობის გამო, მაგრამ კეთილი ფერიისგან საჩუქრად მფრინავი მანტია მიიღო. ზღაპრის დაწერიდან 25 წლის შემდეგ დაიბადა ფრანგი ავტორი, რომელმაც დაწერა “ასეთი იქსი”. დაასახელეთ “ასეთი იქსი” ორი სიტყვით.

პასუხი: პატარა პრინცი / პატარა უფლისწული
კომენტარი: ზღაპარი “პატარა კოჭლი პრინცი” ახალგაზრდა დიდგვაროვანზე მოგვითხრობს, რომელმაც ფეხი დაიზიანა, თუმცა ფერიისგან მფრინავი მანტია მიიღო საჩუქრად. ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი, რომელიც 1900 წელს დაიბადა, ავტორია ნაწარმოებისა “პატარა პრინცი”.

5. 6-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა



]

როდ აილენდი ამერიკის შეერთებული შტატების **ყველაზე ასეთი შტატია**. თუმცა, ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა შენიშნა, რომ როდ აილენდის ძველი **ოფიციალური სახელი** შტატებს შორის **ყველაზე ისეთი იყო**. **თითო-თითო** სიტყვის გამოყენებით დაასახელეთ, რა შევცვალეთ “**ასეთით**” და “**ისეთით**”.

პასუხი: პატარა; გრძელი
ჩათვლა: პატარა; დიდი
კომენტარი: როდ აილენტი ტერიტორიის თვალსაზრისით შეერთებული შტატების ყველაზე პატარა შტატია. საინტერესოა, რომ ყველაზე პატარა შტატს წარსულში ჰქონდა ყველაზე გრძელი სახელი, რომლის ამოკითხვაც დარიგებულ მასალაზე შეგეძლოთ. ცნობისთვის, 2020 წელს შტატის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა კონსტიტუციის ჩასწორებას, რომლის თანახმადაც ოფიციალური სახელი შემოკლდა და ახლა უბრალოდ “როდ აილენდი” ეწოდება.

6. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთ წიგნში აღწერილია ადამიანი, რომელიც **უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად სამუზეუმო ექსპონატს არ ყიდის**. ამ წიგნის განხილვისას ახსენეს **1860-იან წლებში** დაბადებული დიდი **ქართველი**. დაასახელეთ ეს ქართველი.

პასუხი: ექვთიმე თაყაიშვილი
კომენტარი: წიგნის პერსონაჟი, უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, სამუზეუმო ექსპონატს

უფრთხილდება და არ ყიდის. ამ წიგნის განხილვისას ახსენეს ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც საფრანგეთში ყოფნისას საქართველოს ეროვნულ საგანძურს უფრთხილდებოდა.

7. 5-ქულიანი შეკითხვა
რამდენიმე წლის წინ საფეხბურთო კლუბმა ვესტ ბრომვიჩმა ინგლისის **უმდიდრეს** გუნდებს **წაართვა ქულები**, შედარებით **სუსტ** და **ღარიბ** გუნდებთან კი ხშირად **მარცხდებოდა ხოლმე**. ამის გამო ვესტ ბრომვიჩი **ინგლისური ფოლკლორის გმირს** შეადარეს. დაასახელეთ ეს გმირი.

პასუხი: რობინ ჰუდი
კომენტარი: ვესტ ბრომვიჩი მდიდარ გუნდებთან თამაშებს იგებდა, შესაბამისად, ამ გუნდებს ქულებს ართმევდა ხოლმე. მეორე მხრივ, ვესტ ბრომვიჩი ღარიბ გუნდებთან ხშირად მარცხდებოდა, შედეგად, მათ ქულებს ჩუქნიდა. ამის გამო გუნდი შეადარეს ფოლკლორის გმირს, რომელიც მდიდრებს ართმევდა და ღარიბებს აძლევდა.

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეულ მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოთამაშე, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს კაპიტანი.]
ერთი **სახუმარო** პოსტერის პერსონაჟი **თავს იმართლებს**, რომ იგი არ არის **ასეთი** და ყველაფერი იმის ბრალია, რომ **ხახვს ჭრიან**. საქართველოში მდებარე **მთა**, რომელსაც ჰქვია **ასეთი**, გამოირჩევა **უხვი ნალექით**. დაწერეთ **შვიდი ასოსგან** შემდგარი სიტყვა, რომელიც შევცვალეთ სიტყვით "**ასეთი**".

პასუხი: მტირალა
კომენტარი: პოსტერის პერსონაჟი აცხადებს, რომ ცრემლები ხახვის გამო მოსდის. გავრცელებული ვერსიით, საქართველოში მდებარე მთა მტირალას სახელი ხშირი წვიმების გამო ეწოდა.

9. 7-ქულიანი შეკითხვა
2022 წლის დაკვირვებით, **დედამიწა** ბოლო წლებში **ჩვეულებრივზე** [გამოტოვებულია **ორი სიტყვა**]. მეცნიერების აზრით, მიზეზი ისაა, რომ გლობალური დათბობის გამო **ყინული დნება** და **პოლუსებზე** დატვირთვა **მცირდება**. ნაწარმოებში "**პატარა პრინცი**" ერთ-ერთი **პლანეტა ძალიან** [გამოტოვებულია **იგივე ორი სიტყვა**], რისი წყალობითაც ამ პლანეტაზე **მზის ჩასვლის** ნახვა ყოველ **24 საათში 1440-ჯერ** არის შესაძლებელი. დაწერეთ გამოტოვებული ორი სიტყვა.

პასუხი: სწრაფად ბრუნავს
ჩათვლა: აზრობრივად სწორი ორსიტყვიანი პასუხები
კომენტარი: მეცნიერების აზრით, პოლუსებზე ყინულის მასის შემცირება ხელს უწყობს იმას, რომ დედამიწა ჩვეულებრივზე სწრაფად ბრუნავს. ნაწარმოებში "პატარა პრინცი" მეფარნის პლანეტა იმდენად სწრაფად ბრუნავს, რომ დღე-ღამე ერთ წუთს გრძელდება, შესაბამისად, მზის ჩასვლის ნახვა 24 საათში 1440-ჯერ არის შესაძლებელი.

10. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა
„ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ათჯერ ოცია,
მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია"]

ლევან ბრეგაძე ამბობს, რომ პოემა “**ვეფხისტყაოსანში**” **ავთანდილისა** და **როსტევანის** ნადირობისას გვხვდება ერთ-ერთი პირველი **იქსი ლიტერატურაში**. მართლაც, შეგვიძლია **ამოვხსნათ**, რომ ავთანდილმა მოინადირა **110**, ხოლო როსტევანმა - **90 ცხოველი**. დაასახელეთ იქსი ერთი **ცხრაასოიანი** სიტყვით.

პასუხი: განტოლება
კომენტარი: სიტყვა “ამოვხსნათ” დამატებით მინიშნებას წარმოადგენდა. მონადირებული ცხოველების ჯამური რაოდენობა ათჯერ ოცს უტოლდება, ხოლო ერთ-ერთმა მონადირემ მეორეზე ოცით მეტი ცხოველი მოინადირა. შეგვიძლია, ეს სცენა განტოლების სახით წარმოვადგინოთ და ამოვხსნათ.

11. 6-ქულიანი შეკითხვა
ერთ სტატიაში მოხსენიებულია **შენობა**, რომლის ერთი **ფასადიც ცხრა ტოლ კვადრატად** არის დაყოფილი და რამდენიმე **სხვადასხვა ფერში** არის შეღებილი. სტატიაში შენობა შეადარეს **იქსის ერთ გვერდს**. ფილმში "ბედნიერების ძიებაში" მთავარი გმირი **იქსის აწყობას ტაქსიში მჯდომიც** მოახერხებს. დაასახელეთ იქსი ორი სიტყვით.

პასუხი: რუბიკის კუბი
კომენტარი: ფილმის პერსონაჟი იმდენად დაოსტატებულია ამ ნივთის აწყობაში, რომ ტრანსპორტში ჯდომაც არ უფანტავს გონებას. ამ ასაწყობი გამოგონების ყველაზე გავრცელებულ ვერსიაში თითოეული გვერდი ცხრა ტოლი კუბისგან შედგება. რასაკვირველია, სანამ ავაწყობთ, იქამდე მის თითოეულ გვერდზე რამდენიმე ფერის ნახვა შეგვიძლია. სტატიის ავტორმა ცხრა ტოლ კვადრატად დაყოფილი შენობის ფასადი რუბიკის კუბის ერთ გვერდს შეადარა.

12. 7-ქულიანი შეკითხვა
*[შენიშვნა წამყვანს: შეკითხვის დასმამდე მონაწილეებს განუმარტეთ, რომ როდესაც შეკითხვაში საუბარია ანბანის მეზობელ ასოებზე, ამ დროს იგულისხმება ანბანში გვერდიგვერდ მდებარე ასოები ნებისმიერი **ი**მიმართულებით, მაგალითად **ა-ბ**, **გ-დ**, **ჰ-ჯ** და სხვა]*

მაკდონალდსის ერთ-ერთ იქსზე **ვანილის ნაყინი** იქცევა ერთი ცნობილი პერსონაჟის **წვერად**. საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული იქსი **კოკა-კოლას ქარავანს** უკავშირდება. დაასახელეთ იქსი ქართული ანბანის **მეზობელ ასოებზე** დაწყებული ორი სიტყვით.

პასუხი: საახალწლო რეკლამა
ჩათვლა: საშობაო რეკლამა
კომენტარი: მაკდონალდსის რეკლამაში ვანილის ნაყინი სანტას თეთრ წვერად იქცევა. კოკა-კოლას საახალწლო რეკლამა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რეკლამაა.

13. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]

ვაგრძელებთ! ერთ რეკლამაში მოზარდები სხედან და ფიქრობენ, თუ რას ნიშნავს მათ თვალწინ **ბანერზე** გამოსახული **რიცხვი**. საქმე ისაა, რომ ეს **იქსის რეკლამაა**. იქსის ერთ-ერთი **სლოგანის** თანახმად, **ლურჯი** უფრო **გამაგრილებელი ფერია**. დაასახელეთ იქსი **ხუთი ასოსგან** შემდგარი სიტყვით.

პასუხი: პეპსი
კომენტარი: ამ შეკითხვით ჩვენ გავაგრძელეთ წინა შეკითხვაში ნახსენები გამაგრილებელი სასმელების თემატიკა. რეკლამაში მოზარდები ბანერს უკნიდან უყურებენ და ჰგონიათ, რომ მასზე წერია რიცხვი 12939. რეკლამის ბოლოს ბანერს მეორე მხრიდან გვაჩვენებენ, სადაც ვკითხულობთ, რომ მასზე სინამდვილეში ლათინური ასოებით წერია "PEPSI". პეპსი ლურჯი ფერით გამოირჩევა მისი წითელი კონკურენტის - კოკა-კოლასგან.

14. 6-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
საინტერესოა, რომ **პეპლების ჯგუფს** ჰქვია **იქსი**. სიტყვა "იქსი" ორი **ბერძნული** სიტყვის შეერთებით მიიღება, რომლებიც ნიშნავს "**სილამაზეს**" და "**დაკვირვებას**". დაასახელეთ იქსი **გრძელი სიტყვის** გამოყენებით.

პასუხი: კალეიდოსკოპი
კომენტარი: სიტყვა "კალეიდოსკოპი" ორი ბერძნული სიტყვის შეერთებით არის მიღებული: "სილამაზე" და "დაკვირვება". კალეიდოსკოპი პატარა ზომის მილია, რომელშიც შუშის ნამსხვრევები და ამრეკლი ზედაპირებია განთავსებული და მასში ჩახედვისას ფერადი გამოსახულებების დანახვაა შესაძლებელი. საინტერესოა, რომ პეპლების ჯგუფს კალეიდოსკოპი ეწოდება. დარიგებულ მასალაზე პეპლები განზრახ იყვნენ წარმოდგენილი ისე, როგორც მათ კალეიდოსკოპში ჩახედვისას დაინახავდით.

15. 7-ქულიანი შეკითხვა
რამდენიმე წლის წინ **ავსტრალიელმა არქეოლოგებმა** აღმოაჩინეს ძალიან **ძველი**, **გაბზარული თავის ქალა**. არქეოლოგებმა ივარაუდეს, რომ შესაძლოა, ეს ყოფილიყო ერთ-ერთი **პირველი** ადამიანი, რომელიც **საკუთარმა ბუმ დააზარალა**. წინა წინადადების ერთ-ერთ სიტყვაში ჩვენ გამოვტოვეთ **შვიდი ასო**. აღადგინეთ სიტყვა თავდაპირველი ფორმით.

პასუხი: ბუმერანგმა
კომენტარი: როგორც პირველი შეკითხვის კომენტარში შეგპირდით, ეს ნივთი მართლაც დაბრუნდა. ავსტრალიელმა არქეოლოგებმა ივარაუდეს, რომ გაბზარული თავის ქალა ეკუთვნოდა ერთ-ერთ პირველ ადამიანს, რომელსაც გაშვებული ბუმერანგი უკან დაბრუნებისას თავში მოხვდა.